

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



სასამართლოს შეფასებით, **□□□□□□** გაზეტას **□** სტატია იყო პროვოკაციული და გაზვიადებულიც კი, მაგრამ ამით გაზეთი არ გადასულა სიტყვის თავისუფლებით დაცულ ზღვარს. მიიჩნია რა, რომ აღნიშნული განცხადება დაცული იყო სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

პირველი, ამგვარი განცხადების გამო მედია საშუალებისათვის სანქციის დაკისრებას შესაძლოა გამოეწვია, ის რომ მომავალში მედია თავს შეიკავებდა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე დებატებისაგან. მეორე, განცხადება ეხებოდა ქალაქ ნოვოვორონეჟის მერს; პოლიტიკოსს, რომელიც მზად უნდა იყოს მედიისა და ზოგადად საზოგადოების მხრიდან კრიტიკისთვის. მესამე, საკითხი რაზედაც მედია საუბრობდა, წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის საგანს, ხოლო სახელმწიფოს უფლება შეზღუდოს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე დისკუსია უკიდურესად მცირეა. ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული განცხადება წარმოადგენდა მოსაზრებას და არა ფაქტს; შესაბამისად, გაზეთისათვის ჯარიმის დაკისრებით რუსეთის ხელისუფლებამ დაარღვია კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება).

მოსაზრება დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ **□** საქართველოს კანონით; ეს კი ნიშნავს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრულ და უპირობო გათავისუფლებას. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ **□** კანონია მე-14 მუხლით საჯარო პირის ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება პირს, რომელიც გაავრცელებს არსებითად მცდარ ფაქტს და არა მოსაზრებას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „ფაქტზე მითითება ... კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური, და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია. **□** შესაბამისად, სასამართლომ აზრად და არა ფაქტად მიიჩნია **შემდეგი განცხადება**: „მისი სახელი დაკავშირებულია ორი ადამიანის მკვლელობასთან, ასე, რომ იგი არის ჩვეულებრივი პეტერბურგელი ბანდიტი ...“

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მიაჩნია, რომ ტელეკომპანია **□□□□□□□□□□** **□** ჟურნალისტის მიერ დასმული შეკითხვა იყო ჟურნალისტის მოსაზრების დაფიქსირება პროფესიული მოვალეობის შესრულებისას. შეკითხვის შინაარსი - მაღალჩინოსნის ქონება და ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრის ინტენსივობა წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხს. ამასთან განცხადების ადრესატი იყო პოლიტიკოსი, რომელსაც ეკისრება თმენის ვალდებულება კრიტიკის მიმართ, ვინაიდან მოქალაქისაგან განსხვავებით, პოლიტიკოსი გარდაუვლად და

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საკუთარი არჩევანიდან გამომდინარე, საკუთარივე ნებით განსჯის საგნად აქცევს თავის თითოეულ სიტყვასა თუ მოქმედებას საზოგადოებისა თუ მედიის მხრიდან; შესამიბამისად, პოლიტიკოსს კრიტიკისადმი გაცილებით დიდი თმენის ვალდებულება აქვს. □
(ევროსასამართლოს გადაწყვეტილება „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“).

ამგვარად, დასმული შეკითხვის გამო „თრიალეთის □ ჟურნალისტისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება შელახავს საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ნორმებით გარანტირებულ სიტყვის თავისუფლებას. აღნიშნული წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს ფუნდამენტს. ყველა, განსაკუთრებით კი მაღალი თანამდებობის პირი, ვალდებულია, პატივი სცეს მედიის თავისუფლებას და მის წინააღმდეგ არ გამოიყენოს ისეთი ზომები, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ამ ღირებულების დაცვასა და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე ღია დისკუსიის თავისუფლად წარმართვის შესაძლებლობას.